სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 **ოქტომბერი, 2025 წ.**

ბრძანება № 01-02/196

2025-2026 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღებ ბსუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, ,,2025-2026 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ" **საქართველოს მთავრობის 2025 წლის 15 აპრილის №111 დადგენილების,** ,,2025-2026 სასწავლო წელს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **მინისტრის 2025 წლის 4 აგვისტოს №56/ნ ბრძანების,** ,,2025-2026 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღებ ბსუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/132 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2025-2026 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული **პროგრამული დაფინანსების (967,500 ლარის** ფარგლებში) მიმღები, ბსუ-ს ბაკალავრიატის და დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების **სტუდენტთა კონტინგენტი, სულ 430 ადგილი, გადანაწილდეს შემდეგნაირად:**

ა) დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე- **80 ადგილი;**
ბ) ,,სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **30** ადგილი;
გ) ,,მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **15** ადგილი;
დ) ,,ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5** ადგილი;
ე) ,,ბიოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **30** ადგილი;
ვ) ,,ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **10** ადგილი;
ზ) ,,ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **75** ადგილი;
თ),,ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **45** ადგილი;
ი) ,,არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **10** ადგილი;
კ) ,,მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **40** ადგილი;

ლ) ,,აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **45** ადგილი;
მ) ,,ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **45** ადგილი;

2. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 4 აგვისტოს №56/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,2025-2026 სასწავლო წელს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების“ <u>მოთხოვნების შესრულება უზრუნველყოს თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა და ფაკულტეტებმა, კოორდინირებულად.</u>
3. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელონ ბსუ-ს რექტორის მოადგილემ სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.
4. წინამდებარე ბრძანება გაიგზავნოს (აისახოს) საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტებს და სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია)).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**